25 დეკემბერს (6 იანვარს) 1869. № 52. მეორთხე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: — გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакцiи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

# განცხადება

## გაზეთის „დროების“ გამოცემაზე 1870 წელსა.

მომავალს 1870 წელს „დროება“ გამოვა იმავე პროგრამმითა, როგორითაც წინანდელ წლებში გამოდიოდა.—

## გაზეთის პროგრამმა:

I) **მმართებლობის განკარგულებანი**, განსაკუთრებით ისეთნი, რომელნიც ჩვენ მხარეს შეეხებიან.

II) **შინაგანი ცნობები.** ეს განყოფილება შეიცავს ჩვენი ქვეყნის და ხალხის ისეთს ახალ ამბებს, რომელნიც უფრო შესანიშნავნი იქნებიან. ამ განყოფილებაში რედაქცია, ქართლ-კახეთისა და იმერეთის შესანიშნავ ამბებს გარდა, მიაქცევს აგრეთვე, რამდენათაც შესაძლო იქნება, ყურადღებას კავკასიის ყველა ტომებსა.—

III) **ცნობები რუსეთზე.** რედაქციას ძალიან კარგათ ესმის, რომ რუსეთის შინაგანსა და გარეგან ცხოვრებას დიდი გავლენა აქვს ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე და იმიტომ ცნობები რუსეთის ცხოვრებაზე, უეჭველია, ჩვენი მკითხველებისთვის სასარგებლოთ დარჩებიან.—

VI) **კორრესპონდენციები** გააცნობენ მკითხველებს ჩვენსა და სხვა ხალხების ყოფა-ცხოვრებასა, ჩვეულებებს და ხასიათებსა; ამავე განყოფილებაში იქნებიან მოკლე ცნობები მოსავლის მდგომარეობაზე და საზოგადოთ ჩვენს მეურნეობაზე.—

V) **პოლიტიკაში** უმთავრესი ყურადღება მიექცევა ისეთს თანამედროვე ერთა ცხოვრების მოვლინებაებს, რომელთაც რაიმე საქვეყნო მნიშვნელობა ექნება.

VI) **სამოსამართლო ქრონიკაში** დაიბეჭდებიან ისეთი ჩვენსა და სხვა მხრის სასამართლოებში ნაწარმოები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები (პროცესსები), რომელთაც უფრო შესანიშნავათ დაინახავს რედაქცია.—

VII) გაზეთში მიეცემა აგრეთვე ადგილი **მოკლე მოთხრობაებს, სცენებსა და ლექსებს**, თუ თავის შინაარსით ამის ღირსნი იქნებიან ისინი.

VIII) **პედაგოგიური სტატიები.**

IX) **ბიბლიოგრაფიულს ნაწილში** მკითხველი ნახავს მოკლე განხილვას ჩვენი დროგამოშვებითი გამოცემაების და ახალ გამოსული წიგნებისას. რედაქცია ეცდება არ დაავიწყოს აგრეთვე უყურადღებოთ ისეთი უცხო ქვეყნების თხზულებაები, რომელთაც ექნება რაიმე საზოგადო ინტერესი.—

X) **ფელეტონი**

XI) **სხვა და სხვა** შესანიშნავი **ამბები. სავაჭრო განცხადებაები:** ბირჟებზე კურსების მდგომარეობა, იჯარით აღება, მამულების ყიდვა და გაყიდვა.

XII) **ბიბლიოგრაფიული და კერძოობითი განცხადებაები.**

ამას გარდა მომავალ წელში დაიბეჭდება „**დროებაში**“ **მოკლე ისტორიული სტატიები ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებზე.**

ახალი რედაქცია მოიხმარს ყოველ ღონის-ძიებას, რომ შემდეგში ყველა ხელის მომწერლებს თავის დროზე მიუვიდეს გაზეთი.

### ხელ-მოსაწერი ფასი:

| | გაუგზავნელათ. მან. | კაპ. | გაგზავნით მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ერთის წლისა ტფილისში და აგრეთვე გარეშე ადგილებში | 6 | „ | 7 | „ |
| ნახევარის წლისა | 3 | 50 | 4 | „ |
| სამის თვისა | 2 | „ | 2 | 50 |
| ერთის თვისა | „ | 75 | 1 | „ |

### ხელის მოწერა

შეიძლება ტფილისში „**დროების**“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ контору редакцiи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографiи Меликова и К-°.

**ქუთაისში** ხელის მოწერა შეიძლება ლ. ლოლუასთან და დ. აბდუშელიშვილთან.

უმორჩილესად ვთხოვთ მომავალს ხელის-მომწერლებს — დაბარებისა თანავე გამოგზავნონ რედაქციაში გაზეთის ფასი და კარგათ დაწერილი თავიანთი ადრესსი.

### ძველის წიგნების გამოცემაზე.

ყოველს კაცს სჩვევია თვალის გადავლება თავის წარსულს ცხოვრებაზე:—იმას მოაგონდება ხოლმე წარსული ცხოვრების ნამუშავარი, ნახული ჭირი და ლხინი, ბედნიერება და უბედურება. რამდენათაც ღრმათა აქვს კაცს გამოკვლეული ყოველნაირი გარემოება წარსული ცხოვრებისა და ზედმიწევნით იცის დიდსა და მცირე შემთხვევას როგორი ზედ მოქმედება ჰქონია იმის გავლილს ცხოვრებაზე, რა ყოფილა იმის ბედნიერების მიზეზი, რის გამო შემთხვევია უბედურება,—ერთი სიტყვით, რამდენათაც უფრო დაწვრილებით იცის კაცმა თავისი წარსული ჟამი, იმდენათ უფრო გამოცდილია ისა აწინდელი ცხოვრებისათვის; რა დაბრკოლებაზედაც ფეხი წამოუკრავს გავლილს დროში, იმას სიფთხილით ასცილდება მომავალს დროში და აქედგან წარმოსდგება უფრო გონიერი და ნეტარი ჟამი იმის სიცოცხლისა. წარსული ცხოვრების საფუძვლიანათ ცოდნა დაჰბადებს მომავალს იმის ბედნიერებას.

რაც აქ ერთ კაცზედა ვთქვით, იგივე შეიძლება ვთქვათ მთელს ხალხზე, მთელს ერზე. ერის წარსული ცხოვრების სწავლა არის ისტორია, ვრცელი და უძნელესი მეცნიერება სხვათა მეცნიერებათა შორის და ისტორიის ერთი უმთავრესი საგანი არის საზოგადოთ ლიტერატურა (მწერლობა), რომელიც იპყრობს თავის შორის ყოველსავე სიტყვიერების ნაწარმოებსა, რაც კი არის ქაღალდზე ნაწერი, ანუ ხალხის მეხსიერებაში დარჩენილი.

ამ ჟამამდე ძალიან ცოტა მეცადინეობა გვიხმარია ჩვენ, ქართველებს, რომ ჩვენის ძველის მწერლობისთვის ბეჭდვით მიგვეცა მკვიდრობა და ამ მხრით დაგვეცვა დროთა შემუსრვისაგან ჩვენის ისტორიისათვის უძვირფასესი მასალა. ძველი ქართული წიგნების ბეჭდვა ამ გვარათ იქმნებოდა სასარგებლო როგორც საზოგადოთ ისტორიისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით თვით ლიტერატურისათვის და სალიტერატურო ისტორიისათვის.

ძველი წიგნების ბეჭდვის სურვილი ჩვენში დიდი ხანია არის. ზოგნი არიან აღზრდილნი ამ ძველ წიგნებზე, იმათ უყვართ ძველი მწერლები ისე, როგორც თავისი ქვეყნის მბრწყინვალე ცა. ამ თხზულებაებს ზედ დასჩნევიათ ყოველივე, რაც გამოუვლია ჩვენს ერსა: ბედი თუ უბედობა, ბრძოლა ანუ მშვიდობიანობა, გმირობა ანუ სიმუხთლე.—იქნება ზოგ თხზულებაებში პირდაპირ ნათლად არა იხატებოდეს რა, მაგრამ გამსჭვერი გონების თვალი იმათშიაც მალე დაინახავს წარსულ დროების ხალხის გონებასა. ძველს თხზულებაებში გამოიხატება ჩვენი ქვეყნის ბუნება: იქ ქართველს ესმის თავისი გულის ძგერა, თავისი სიხარული და წადილი, ნაღველი და უიმედობა, ყოველი რაც იმის ცხოვრებასთან დაახლოვებულია; რასაც კითხულობს, კარგათ ესმის და ამიტომ უყვარს,—უყვარს ღვიძლ დედასავით. აი, ამ მხრით ზოგს ჩვენგანს ძალიანა სურს ამ ძველი წიგნების ბეჭდვა. არიან კიდევ სხვანი, რომელთაც ძველ წიგნებში ძალიან მცირე უკითხავთ იმ მიზეზისა გამო, რომ დაბეჭდილი არ არის, მაგრამ სურვილი აქვთ კითხვისა. ჩვენს ეხლანდელ მწერლობაში ძალიან მცირე ნაწილსა აქვს წაკითხული ძველი წიგნები. ამისაგან წარმოსდგება იმათი ნაწერის ენის შეუმუშავებლობა. ისინი ჰგრძნობენ თავის ნაკლულევანებას, მაგრამ ღონისძიება არცა ჰქონიათ და აქამდისაც არა აქვთ, რომ ეხლა შესძლებოდათ წერა კარგის ქართულის ენითა. ამ გვარათ ახალ მწერლებშიაცა ვხედავთ სურვილსა, რომ ძველი წიგნები იბეჭდებოდეს.

ეს სურვილი აქამომდე აუსრულებლად რჩებოდა. აქამომდე იმ ძველ წიგნთა საუნჯისაგან ძალიან ცოტა შეიქმნა ღირსი ბეჭდვისა. აქ ჩვენ უნდა მოვიხსენოთ მადლობით ის პირნი, რომელთა მეცადინეობით დაიბეჭდა სულ პირველათ ქართული წიგნები პეტერბურღს: უფალი აკადემიკოსი ბროსსე და პეტერბურღის უნივერსიტეტის პროფესსორი ქართულის ენისა უფალი ჩუბინაშვილი. ტფილისში პირველი აზრი ძველი წიგნების ბეჭდვისა და მისი აღსრულებაში მოყვანისა ეკუთვნის კავკასიის მთავარმმართებელს განსვენებულს თ. მ. ს. ვარანცოვს, რომელმაც მისცა სრული ღონისძიება როგორც ფულით, აგრეთვე სხვა შემწეობით უფალს იოსელიანს. ამ მოხსენებულთ პირთა დიალ დიდი საქმე შესძინეს ჩვენს ლიტერატურას და რაც შეეძლოთ, როგორც კერძო პირთა, ყოველივე აღასრულეს. მაგრამ კიდევ მრავალი წიგნია დარჩენილი დაუბეჭდავათ და ამათ დაბეჭდვას კერძო პირის შრომა ვერ აუვა. ამ საგანზე ბევრი ლაპარაკი ყოფილა და არის აქამომდე. ერთი შემთხვევა მოხდა კიდეც, რომ საზოგადოებაში შეიკრიფა ფული ძველი წიგნების საბეჭდავათ: ერთი წიგნი „კალმასობისა“ დაიბეჭდა ამ ექვსის წლის წინათ და მას შემდეგ აღარა გვინახავს რა; მოგროვებულმა ფულმა ფუჭად ჩაიარა და ჩვენ მოტყუებულნი დავრჩით იმ პირთაგან, რომელთაც უთაურობით დაიწყეს საქმე, ანუ უთაურ კაცებს ჩააბარეს ეს საქმე.

ბოლოს ამ წელს გაზაფხულს ისე მოხდა, რომ საქმე უფრო მკვიდრათ იწყება. თავადმა გრიგოლ დიმიტრის ძემ ორბელიანმა თავი დაუდო ამ საქმესა და მიანდო პლატონ ეგნატეს ძეს ძველი წიგნების გამოცემა იმ ფულით, რომელიც შეკრებილი იქმნება ჩვენს საზოგადოებაში. ამაზე განცხადება პლატონ ეგნატეს ძის იოსელიანისაგან იყო დაბეჭდილი „დროებაში“ და „ცისკარში“.

ამ ჟამათ საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ქართული წიგნების გამოცემა მოგვანდო თავადმა გრიგოლ დიმიტრის ძემ ორბელიანმა ჩვენ ქვემოხსენებულთა პირთა, რადგანაც უპატივცემულესმა პლატონ იოსელიანმა, მოუცლელობისა გამო, ვერ იკისრა ეს საქმე. მაინც კი მადლობა გვმართებს განუცხადოთ უფალს იოსელიანს აღთქმულის დახმარებისათვის და თანამშრომლობისათვის, რამდენათაც ნებას მისცემს საკუთარი თავისი გარემოება.

ამ ჟამათ საქმე არის ამ მდგომარეობაში. თუმცა ამ საქმისათვის იყო დანიშნული 500 მანეთი, მაგრამ ჯერეთ 260 მანეთის მეტი არ არის შეკრებილი. ძალიან სასურველი იყო, რომ სრულათ შემდგარიყო ზემოხსენებული

სუმმა. ამისთვის მოვიწვევთ კვალად ჩვენს საზოგადოების იმ პირთა, რომელთაც ამ საქმის თანაგრძნობა აქვთ. არ შეგვიძლია ესეც არ მოვიხსენოთ, რომ, თუ „ქალმასობის" გამოცემის მოთავე პირნი ისურვებენ ან შესაძლოთ დაინახვენ ამ წიგნისთვის შეკრებილი დანაშთენი ფულის გადმოცემასა, — კარგი იქნება. ამ სახით შეერთდებოდა ყოველი ღონისძიება გამოცემისათვის.

თუმცა ჯერეთ მცირე ფული შეიკრიფა, მაინც შესაძლოთა ვრაცხთ, რომ დავიწყოთ ბეჭდვა და გამოვცეთ ნაწილ-ნაწილათ რომელიმე თხზულება. როდესაც მთელი წიგნის გამოცემის ღონისძიება იქნება, მაშინ თითო მწერლის თხზულება ერთიანათ გამოვა. როგორც გამოცხადებული იყო უ. პლატონ იოსელიანისაგან, ყოველი წიგნის ბეჭდვა დაიწყება მაშინვე, რაკი დაბეჭდილის წიგნების გაყიდვისაგან საკმაო ფული შემოვა. ამ საქმისათვის ფულის შემომტანნი, უეჭველია, საჭიროთ დაინახვენ, რომ ანგარიში მოგვთხოვონ; ამისი უფლება აქვთ და ჩვენც აღუთქვამთ, რომ უეჭველათ ყოველ წიგნის გამოცემის შემდეგ ანუ, თუ გამოცემა ვერ მოხერხდა — წელიწადში ორჯელ ყოველ თიბათვეში და ქრისტიშობის თვეში წარუდგინოთ დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ ი ანგარიში წიგნების გამოცემაზე: გაყიდვაზე, ფულის შემოსავალზე, დარჩენილ წიგნების რიცხვზე და ბეჭდვის ხარჯზე.

ძველი მწერლების თხზულებანი დაიბეჭდებიან შეუცვლელათ და ხელშეუხებლივ. ამისათვის ვთხოვთ, ვისაც ძველი წიგნები აქვსთ, წარმოგზავნონ, რომ ერთმანეთთან შედარებით ის წიგნი დაიბეჭდოს, რომელიც უფრო სრული და ნამდვილი თხზულებაა რომლისამე მწერლისა. პასუხის გებას ჩვენ თავს ვიდებთ, რომ წიგნები წაუხდენელათ ისევ უკანვე დაუბრუნდებათ თავის პატრონებსა. წიგნები დაიბეჭდება აკადემიის ასოებით, იმ ასოებით, როგორც პეტერბურღშია დაბეჭდილი „ჩონგური", „ქაცია, ადამიანი" და ჩუბინაშვილის „ქრისტომატია". მართლწერა დარჩება ძველი.

რამდენათაც შესაძლებელი იქმნება, ყოველს თხზულებას დაერთვის მწერლის ცხოვრების აღწერა და საჭირო შენიშვნაები.

მომავალს იანვარშივე დაიწყება ბეჭდვა დავით გურამიშვილის თხზულებაებისა და, იმედი გვაქვს, პირველი წიგნი იანვარში, ან თებერვალში გამოვიდეს.

ჩვენ კიდევ განვიმეორებთ ჩვენს თხოვნას, რომ საზოგადოებამ აღმოაჩინოს თავის შემწეობა და ხელი მოგვიმართოს ამ ყველასათვის სასურველ საქმეში.

ვინც ისურვებს ფულების შემოწირვას ძველი წიგნების დასაბეჭდავათ, იმათ შეუძლიათ გამოგზავნონ შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ, въ контору редакціи „Сельской Газеты", при типографіи Меликова и Ко.

ნ. ბერძენოვი,
პ. უმიკაშვილი,
გ. წერეთელი.

## რუსეთის ამბები.

„მოსკოვის უწყებაების" სიტყვით, კოვნოს გუბერნიის მცხოვრებლებს (პოლშაში) დიდი ყურადღება მიუქცევიათ სახალხო განათლების საქმისათვის. თვითონ გლეხები აშენებენო სასოფლო შკოლებს და მასწავლებლებსაც ქირაობენო; ისინი სწირავენ ყოველ წელიწადს 50,000 მან. სახალხო განათლებისათვის; სახალხო შკოლების რიცხვი ამ გუბერნიაში 153 არის.

ამ დეკემბრის პირველ რიცხვებში პეტერბურღში, ვიბორგის მხარეზე, უნახავთ მკვდარი მედიცინის სტუდენტი ერთს ღარიბს სადგომში. თუმც არავითარი ნიშნები ძალდატანებით სიკვდილისა არ აჩნდა მიცვალებულსა, მაგრამ მაინც გასჭრეს ექიმებმა და აღმოჩნდა, რომ ის მომკვდარიყო სიმშილისგან დაუძლურებითა; სახლის პატრონს უთქვამს, რომ ეს სტუდენტი იყო ძალიან მშვიდობიანი ზნის კაცი და მთელს დროს წიგნების კითხვაში ატარებდაო. —

„პეტერბურღის უწყებაებში" სწერენ: „ბერლინის „კრესტოვის გაზეთი" გვაცნობებს ძნელათ დასაჯერებელ ამბავს; იმის სიტყვით, მოსკოვში და ზოგ სხვა ქალაქებში აღმოუჩენიათ საზოგადოება, რომელსაც ნდომებია კლეხკაცების აღძვრა მომავალს ფებერვალს, ე. ი. იმ თვეში, რა თვეშიაც ბატონ-ყმობა გადავარდა. ამ გარემოების თაობაზე, როგორც ზემოხსენებული გაზეთი იწერება, რამდონიმე პირი დაუტუსაღებიათ". — ამნაირი აზრი აქვს იმ ტელეგრამმას, რომელიც 3 (15) დეკემბერს მიუღია „კრესტოვი გაზეთის" რედაქციას ქ. ეიდბუნენიდან და რომელიც ამ გაზეთშია დაბეჭდილი. —

ელისავეტგრადიდგან იწერებიან გაზ. „ნოვოროსიის ტელეგრაფში", რომ ამ ქალაქის საზოგადოებას გაუხსნია თავის ხარჯით ახალი რეალური გიმნაზია, რომლის პროექტი და პროგრამმა შინაგანი საქმეების მინისტრს უკვე დაუმტკიცდება.

ვარშავის კორრესპონდენტი იწერება „ოსტზეის გაზ.", რომ იქაური ახალი უნივერსიტეტის ერთს პროფესსორს ნდომებია პუბლიკური ლექციების წაკითხვა და ამისთვის უნივერსიტეტის ერთი ზალა უთხოვნია დროებით; მაგრამ ამ თხოვნაზე უარი უთქვამთ, იმ საფუძლით ვითომ, რომ ის პოლშურს ენაზედ აპირებდა ლექციების წაკითხვას და არა რუსულზე. ამისგამო ლექციების წასაკითხავ ადგილად იმას კერძო პირის სახლი ამოურჩევია. —

ამას წინეთ იყო „დროებაში" ცნობა, რომ რამდენთამე კათოლიკის მღვდლებთა ვარშავაში სთხოვეს მმართებლობას ცოლის შერთვინების ნება-რთვა, რადგანაც ეს ჩვეულება, იმათი აზრით, მოციქულებისაგან არ არის დაწესებული. ამის თაობაზე ვარშავიდან იწერებიან ახლა „ოსტზეის გაზეთში", რომ ამ თხოვნაზე პატრებს მმართებლობისაგან ჯერ არაფერი პასუხი არ მიუღიათო, მაგრამ ჰფიქრობენო კი, რომ იმათ სანატრელი პასუხი მოუვათო.

ამ მოკლე დროებაში გაუხსნიათ კიევს მასწავლებლების სემინარია, რომელშიაც გაიზრდებიან მომავალი მასწავლებლები კიევის სახალხო შკოლებისათვის. —

## მცხეთის ტაძარი, იმის ისტორია და მოკლე აღწერა. *)

(დასასრული)

ხელოვნურათ ნაკეთები ხის კანკელი ააგებინა ირაკლი მეფემ; ამ კანკელზე მოუჭედელი ხატები ასვენია; აქ არის დახატული პირველი მოციქულები: იოანე წინამორბედი და იოანე ღვთის—მეტყველი, პირველი რომის ეპისკოპოსი—ლინი, რომელიც იყო სამოცდა ათ მოციქულებთ რიცხვში. აქვეა გამოსახული ანგელოსი, რომელსაც უჭირავს ხელში ქრისტეს პერანგი და ილია წინასწარმეტყველი, რომელიც აძლევს მოწყალებას ელისეს, რადგან, როგორც ჩვენში იტყვიან, მაცხოვრის პერანგს გარდა, წინასწარმეტყველის შესამოსელიც იყოვო ამ ეკკლესიაში. დიდი ხანი არ არის რაც მარჯვნივ ილია წინასწარმეტყველის სახელზე ნაშენი ეკვტერი გააუქმეს. ზემოხსენებულს კანკელზე ოცდა ოთხი სახელოვანი მღვდელთ მთავარი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკკლესიისა, თორმეტი სადღესასწაულო და ქრისტეს ვნებანია გამოხატული.

ტრაპეზში შესავალს კარებთან არის ორი საფლავი საქართველოს მეფეთა: ირაკლი მეორისა და გიორგი მეცამეტისა, რომ ისინი იყონ ნიადაგ მცველათ ამა წმინდა ტაძრისა და ესმოდესთ წმინდა სახარების სიტყვები.

ამაზე შესაფერი ადგილი არსად მოიძებნებოდა ამ ორის მეფის სასაფლავოთ, რომელთაც თავისი მეფობით დაასრულეს ათასი წლის უფლება ბაგრატოვან მეფეთა საქართველოში. ირაკლი მეფის საფლავის გვერდით არის იმისი ქალის ბატონიშვილის თეკლეს საფლავი, რომელიც იყო განსაკუთრებით მოყვარული თავის მამისა და თავის სიცოცხლეში ხშირად იტყოდა ხოლმე: ჩემს დიდებულს მამას ღმერთმან ნურც სააქაოს და ნურც საიქაოს ნუ მომაშოროსო.

ირაკლი მეფის საფლავის პირ-და-პირ, მარჯვენა სვეტთან, არის აგებული საქართველოს კათოლიკოსების სადგომი ადგილი, რომელიც არის თალ-შეკრული და ძირს ტახტია. ამ თალშია დახატული სამი ებრაელების პატრიარქი: აქ აბრაამი თავის შვილს ჰსწირავს ღმერთს მსხვერპლათ, ისააკი მოხუცებაში ჰლოცავს იაკობს ისაავის მაგიერათ და ამით უჩვენებს ისრაელის დანიშნულებას; თვითონ იაკობიც ჰხედავს სიზმარში ზეცამდის ამართულს კიბეს, რომელზედაც ადიან და ჩამოდიან ანგელოსები ქვეყანად. კათედრაზე გამოხატულია ხარება და თაღებზე დახატულია სამი წმინდა მამა, რომელთაც შეადგინეს ლიტურღია და აქ ძველებურის წესით ასრულებდენ საქართველოს კათოლიკოსები; გუმბათის შუაგულზე დახატულია მაცხოვარი, ხოლო გვერდით მისა კათოლიკოსი იოანნე, რომელმაც აღაგო ეს კათედრა. კათედრის გვერდით კედელზე წარმოდგენილია სამეფო გვირგვინის დადგმა ირაკლი პირველისა და და იმისი მეფედ კურთხევა კათოლიკოსისაგან. სხვა მრავალი ნახატები, რომელნიცა წარმოადგენდენ არამც თუ აზრს და გრძნობას აღმაშენებელთა, არამედ თვითონ ეკკლესიისა და სამეფოს ისტორიას, სრულებით წაშლილია კირის წასმით. ამ სახით დაიკარგა სურათები საქართველოს მეფეთა და კათალიკოსთა, რომელნიც იყვნენ ჩაყოლებულნი კედლებზე; მხოლოდღა მოასწრეს ზოგიერთი იმათგანის გადაღება აკადემიისათვის.

1837 წელს თბილისის სინოდის კანტორაში გადასწყვიტეს იმისთანა სურათების წაშლა, რომელნიც იმათის აზრით ისე დაძველებულან, რომ იმათი გაახლება შეუძლებელი იყო. პატივცემული ქართველი სწავლული პლატონ იოსელიანი საჩქაროთ მიიქცა იმპერატორის სამეცნიერო აკადემიასთან და სთხოვა, რომ ეპატიებინათ ეს სურათები ისტორიისათვის და შთამომავლობის სამახსოვროთ; ამასთანავე უჩვენა უმთავრესს მმართველზე გოლოვინზე, რომელსაც შეეძლო ამ სურათების გადმოღება ს წილმწიფო ხარჯით. აკადემია მ ინც ვერ ერწმუნა უმთავრესს მმართველს და პირ-და-პირ პლატონ იოსელიანის სახელზე გამოგზავნა ათი თუმანი. ამან დაიქირავა კარგი მხატვარი იტალიელი როცცი, რომელიც იყო თფილისის გიმნაზიის მასწავლებლათ და იმან გადახატა. ეს სურათები ახლა შენახულია პეტერბურღის აკადემიაში.

თუ ამ სურათების გადახატვა შეიძლებოდა, განახლება უფრო შესაძლო არ უნდა ყოფილიყო? მაგრამ, სამწუხაროთ, რასაც მურავიევი ამბობს ის სრულებით ნამდვილია. 1834 წელს კავკასიას ჰმართავდა ბარონი როზენი და რუსის ეგზარხოსათ საქართველოში იყო ყოვლად სამღვდელო ევგენი. იმ დროს იმპერატორი ნიკოლოზი აპირებდა კავკასიისკენ წაბძანებას და ევგენიმ უბრძანა ტაძრის გამშვენიერებისათვის კირით გაქლესათ კედლები: ამ სახით უძველესი მშვენიერი მხატვრობა მცხეთისა სულ ერთიან გაფუჭდა. ამბობენ, ხელმწიფე ძალიან უკმაყოფილოთ დარჩა ამისთვის. შემდეგ ხელოვნებითი აკადემიის ახლანდელმა პრეზიდენტმა თ. გაგარინმა ყურადღება მიაქცია მცხეთის ტაძარსა და იმის თხოვნით ძირიდგან ტაძრის კედლებს კირი მოაცალეს და მხატვრობა ისევ განაახლა იმან.

სასურველია, რომ დანაშთენი კედლებიც ამსახით განახლებულ იყოს. ამითი შეიძლებოდა გასწორებულიყო ევგენი ეგზარხოსისაგან წახდენილი საქმე და კავკასიაში მყოფთა მახმადიანთაც დაუმტკიცებდა მთავრობა, თუ რამდენს ყურადღებას აქცევენ საზოგადოთ ქრისტიანობის ძველს სახსოვრებსა. საზოგადოთ თ. გაგარინმა დასტოვა ჩვენში კარგი სახელი იმითი, რომ, როგორც ჭეშმარიტმა მხატვარმა, ყურადღება მიაქცია ძველს საქართველოს მხატვრობას, რომელსაც ეტყობა ბერძნულ-ქართული მოხელეობა.

საკურთხეველშიაც ბევრი მხატვრობა აღარა დარჩენილა კედლებზე. კანკელი იმდენათ მოშორებულია კედლებზე, რომ განიდგან ერი სრულიად ჰხედავს ღვდლისაგან წირვის გადახდას. მცხეთის ტრაპეზას ქვეშ დამარხულია ერთი სირიელ მამებთაგანნი—წმინდა აბიბო, ნეკრესის ეპისკოპოსი, რომელიც მოჰკლეს კერპთაყვანის მცემლებმა ძლიერათ მხილებისათვის. როგორც ზევით მოვიხსენეთ, მცხეთის ტაძარში ჰმარხავდნენ საქართველოს მეფეებთა, მაგრამ სრულად ცოდნა ყველა მეფეებისა ვინც არის აქ დამარხული ძნელია: დროთა ვითარებისაგან ზედ წარწერანი ქვებზე წაშლილა.

პ. იოსელიანმა აღწერა მცხეთის ტაძარი, რომელიც დაბეჭდილია 1847 წლის გაზ. „კავკაზში". მცხეთის ტაძარში დამარხულთა მეფეთა და კათოლიკოსთა შორის არიან:

1) ირაკლი მეორე, რომელიცა გარდაიცვალა 1796 წელსა,

2) ვახტანგ გორგ-ასლანი, მიცვლილი მეხუთე საუკუნეში,

3) გიორგი მეცამეტე, რომელიც 1800 წ. გარდაიცვალა და მისი მეუღლე დედოფალი მარიამ, გარდაცვლილი 1850 წელს მარტის 30 მოსკოვში და ასული მისი თამარი,

4) მარიამ დედოფალი მახმადიანის როსტომ მეფის მეუღლე, გარდაცვლილი მეჩვიდმეტე საუკუნეში,

5) მეფის წული ლეონი, ირაკლი მეორის შვილი,

6) დემენტი კათოლიკოსი, გარდაცვლილი მეთვრამეტე საუკუნეში,

7) ანტონი პირველი—კათოლიკოსი, რომელიცა მიიცვალა 1788 წელს.

აქვე დამარხულია გიორგი მეფის შვილიშვილები: თ. პეტრე და დიმიტრი, რომელნიცა ჯერ კიდევ ყმაწვილები მოიკლენ რუსების ჯარში: პირველი სპარსის აღების დროს და მეორე კუბანისმდინარეზე ჩერქეზების ომში.

თავადი ალექსანდრე ბაგრატის ძე, მიცვლილი 1867 წელს ქ. ახალქალაქს.

ქართველი მემატიანე ამბობს, რომ მეფე თეიმურაზიც მცხეთის ტაძარში მარხიაო, მაგრამ ამის ნიშანი ვერა ვიპოვეთ რაო.

სამწუხაროთ, ამისთანა ძვირფასი ტაძარი თავისი სიძველით და ისტორიული სახსოვრებით აქამდის დაწვრილებით არ არის აწერილი.

იმედია, რომ პ. იოსელიანი, რომელმაც 1867 წელს გამოსცა დაწვრილებითი ისტორიული აღწერა თბილისის ძველი სახსოვრებისა, დაასრულებს თავისს დიდებნის შრომას. მცხეთის ძველებურ სახსოვრების აღწერაზე.

ამისთანა შრომა ბევრს ახალს ისტორიულს შემთხვევებს აღმოაჩენს საქართველოს ისტორიის და არხეოლოგიის შესამატებლათ.

ნ. გ.

*) „დროება" № 50.

# პოლიტიკა.

## ფრანცია.

პარიჟი, 2 (14) დეკემბერს. კანონმდებელი კორპუსის გუშინდელს სხდომაში სხვათა შორის ბეჭდვის თაობაზედაც იყო ბაასი. დეპუტატმა ანტიენსმა სთქვა: „ძალიან მიკვირს, რომ მთავრობამ ჯერ მისცა სრული თავისუფლება ბეჭდვასა და ახლა კი ისევ ძველებურად აპირებს იმის შევიწროებას სულ უბრალო მიზეზების გამო.“ შინაგანი საქმეების მინისტრმა—ფორკად-ლა-როკეთმა უპასუხა იმას, რომ მართალიაო ბეჭდვას ჰქონდა სრული თავისუფლება ამ უკანასკნელ დროშიო, ასე რომ გაზეთებში და წიგნებში სუყველაფერზე უშიშრად ლაპარაკობდნენო, მაგრამ ამ გარემოებამ იქონიაო ზოგიერთებზე ძალიან მავნებელი გავლენა. მმართებლობამ დიდხანს ითმინა; იმას არ უნდოდა ჯერ-ჯერობით ბეჭდვის დევნა დაეწყო, მაგრამ ბოლოს ის იძულებული არის მისცეს სამართალში გაზეთები, რათამცა მოისპოს ყოველი უკადრისი შეურაცხყოფა სახელმწიფოს მოთავე პირისა (ნაპოლეონისა).

— 4 (16) დეკემბერს. აქაური დიპლომატების წრეში გავარდა ხმა, რომ ფრანციის ელჩს პეტერბურღში ღენ. ფლორის, ჰქონდაო მოლაპარაკება რუსის მმართებლობის წარჩინებულ პირებთან და მოისურვაო, რომ რუსეთს ეთავა ყველა სახელმწიფოებში ჯარიანობის მოსპობის საქმე.—რუსებმა მიაქციეს თურმე ფლორის ყურადღება ახლანდელი რუსთ ხელმწიფის მშვიდობიანობის მოყვარე ხასიათზე; აქედან გამოჰყავთ ის, რომ ჯარიანობის მოსპობის ცდასა შეუდგება რომელიმე სხვა მმართებლობა.

## იტალია.

ფლორენცია, 4 (16) დეკემბერს. პრეზიდენტმა ლანცამ შეიტანა დღეს დეპუტატების პალატის სხდომაში ახალი სამინისტროს პროგრამმა, რომლითაც ის ჰპირდება ყოველგვარი გასავლის შემოკლებასა; ამას გარდა პროგრამმაში გამოცხადებულია, რომ, თუ ძალიან დიდი დაჭირვება არ იქნება, ახალი ხარჯი ხალხს არ დაედებაო.—

— რომი, 11 დეკემბერს. რომის პაპს გამოუცხადებია წესდება—თუ როგორ უნდა ამოირჩიოს ახალი პაპი, თუ ვინიცობაა, თვითონ ამ მსოფლიო კრების დროს გარდაიცვალა. ამ წესდებით ახალი პაპის ამორჩევა უთუოთ კარდინალების კოლლეგიას უნდა მიენდოს და იმათ უნდა ამოარჩიონ ვისაც ღირსეულს დაინახვენ; ამ შემთხვევაში მსოფლიო კრების სხდომები შეჩერდებიან, სანამ ახალი პაპი ხელ-ახლად არ გამოაცხადებს ცალკე ბულლით იმათ გახსნას.

— ამ ჟამად რომის ქუჩებში სალდათებისა და სამღვდელო პირების მეტს თითქმის ვერავის ვერ დაინახავთ თურმე. უჯაროთ რომის პაპის სამოქალაქო უფლება მოუსაზრებელია. ახლანდელი შეხედულობა რომისა ძალიან ცუდს შთაბეჭდილებას სახავს უცხოქვეყნელში. არც ერთს უცხოქვეყნელ მოგზაურს არ შეუშვებენ რომში და არც გამოუშვებენ იქიდგან თუ ფაჩპორტი არა აქვს. ყოველ კაცს შეუძლია მთელი იტალია დაიაროს უფაჩპორტოთა და აქ რომში კი ერთს ბიჯს ვერ გადაადგამ ისე, რომ პოლიციის თვალყური არ იყოს შენზე მოპყრობილი.—

## ოსმალეთი.

კონსტანტიპოლიდგან იწერებიან, რომ არაბელები ატეხილან და დიდი არეულობა არისო საზოგადოთ არაბეთში. არეულობა მოხდა იმის გამო, რომ ქ. ბაღდადის ღენერალ-ღუბერნატორს უნდოდა, ხონთქრის ბრძანებით, სალდათები გამოეწვია იმათგანაც.—ამნაირივე არეულობა ამ საქმის თაობაზედვე იყო ამ მოკლე ხანში ასტრიაშიაც.—განდგომილების დასამშვიდებლად ოსმალეთის მმართებლობამ გაგზავნა ჯარი, მაგრამ არაბელებმა სრულიად ამოწყვიტეს ეს ჯარი. ეს არეულობა მით უფრო შესანიშნავია და საშიში, რომ ის მოხდა არაბეთის ყველა ადგილებში ერთსა და იგივე დროს, როცა მლოცველების ქარავნები მიდიოდნენ მაბასაკენ და დამასკისაკენ.—

— პირველი კორპუსის კომანდირი—ომერ—ფაშა ხონთქარს დაუთხოვია სამსახურიდან და მის ნაცვლად იზეთ—ფაშა დაუნიშნავს.—

## ანგლია

ლონდონი, 3 (15) დეკემბერს. ანგლიის პარლამენტი გაიხსნება მომავალი (1870) წლის 8 თებერვალს.

## ავსტრია.

— ვენა, 1 (13) დეკემბერს. დღეს იყო აქ დიდი კრება მუშა-ხალხისა; ამ კრებამ გაუგზავნა მინისტრების პრეზიდენტს გრაფ ტააფეს თხოვნა, რომელშიაც გამოცხადებულია შემდეგი სურვილი მუშებისა: ბეჭდვას უნდა მიენიჭოს სრული თავისუფლება, უნდა მიეცეს უფლება საზოგადოებების დაარსებისა, ამორჩევის კანონები უნდა შეიცვალონ და ჯარი უნდა მოისპოს.—პრეზიდენტმა დაპირდა იმათ ამ თხოვნის წარდგენა მინისტრების რჩევაში.—არავითარი უწესოება არა მომხდარა ამ კრების დროს, მაგრამ ბირჟა კი დაფთხა.—

— უკანასკნელი არეულობის გამო ძველი მთავარ-მმართებელი დალმაციისა გამოცვალეს და მის ნაცვლად დანიშნეს ღენ. როდიჩი, რომელსაც, განდგომილი მაჩრების დასამშვიდებლად, დიდი უფლებაები მიეცა. ახალი მთავარ-მმართებელი ამ დღეებში წავა დალმაციაში; რადგან არეულება ჯერ არ დაწყნარებულა, ამის გამო გამოვიდა განკარგულება, რომ თოფ-იარაღის გატანა ავსტრიიდან დალმაციაში აკრძალულიაო. დალმაციიდან იწერებიან, რომ განდგომილები რამდენიმე სოფელს დაეცნენო, მაგრამ, ამბობენ, თვითონ სოფლელები უწევენ იმათ წინააღმდეგობასაო.—

# ტელეგრამმები

(8 დეკემბ. თბილისში მიღებული).

პეტერბურღი. დღეს მინისტრების რჩევაში არის სჯა იმ წინადადებაზე, რომელიც შეიტანა დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა და რომელიც შეეხება კავკასიის რკინის გზებსა.

## ნეკროლოღი,

13 დეკემბერს გარდაიცვალა თბილისში თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურიან—ორბელიანი. ქართლ-კახეთის მცხოვრებნი და აგრეთვე სხვა ყველა, ვისაც ცოტაოდნათ მაინც უდევნებია თვალყური ჩვენი უკანასკნელი დროს მწიგნობრობისთვის, კარგათ იცნობდნენ მიცვალებულს და ამიტომ საჭიროთ ვრაცხთ იმაზე ორიოდე სიტყვის თქმასა.

თ. ა. ჯამბაკურიან-ორბელიანი იყო შვილი თ. ვახტანგ ორბელიანისა და მეფე ერეკლეს ასულის თეკლესა. ის დაიბადა 1801 წ. 1834 წლიდან ვიდრე 1841 წლამდი ის იყო ორენბურღს და მსახურობდა იქაურს ლინიის ბატალიონში. 1841 წ. თ. ა. ო. დაბრუნდა თავის სამშობლოში, გამოვიდა სამსახურიდან და სცხოვრობდა ხან თბილისში და ხან თავის სოფელში. მომატებულ ნაწილს დროს მიცვალებული ატარებდა ქართული და რუსული წიგნების კითხვაში და წერაში; ჩვენებურ მკითხველებს, უეჭველია, ეცოდინებათ იმის ისტორიული მონოგრაფიები, რომელნიც შეეხებიან საქართველოს უკანასკნელი მეფეების დროსა.

მიცვალებული თითქმის ორენბურღიდან დაბრუნების შემდეგ უკანასკნელ ჟამამდე ღვიძლის ტკივილით ავათმყოფობდა და ამ ავათმყოფობამ სამარეშიაც ჩაიყვანა. ოთხშაბათს (10 დეკემბერს) ის გამხდარიყო ცოტათი შეუძლოთ, მეორე და მესამე დღეს გაეციებინა და შაბათს დილის ცხრა საათზე მიიცვალა ისე ჰკუა სრულად, მშვიდობიანად და წყნარად, როგორც თავის სიცოცხლეში იყო. 16-ს მიცვალებული დამარხეს სიონის სობოროში, აუარებელი ხალხის თანდასწრებით; ყველა თბილისში მყოფთა წარჩინებულ პირთა სცეს უკანასკნელი პატივი თ. ა. ორბელიანის გვამსა და დაესწრნენ იმის დასაფლავებაზე სიონის სობოროში.

გამოთხოვების წინეთ უფ. ს. მესხმა სთქვა იმის საფლავზე შესხმა, რომლისაგანაც მოგვყავს რამდენიმე ადგილი:

„მინც დაახლოებით იცნობდა ჩვენ წინ მდებარე გვამსა, იმათ ყოველთა კარგათ იციან—რა კეთილი, გულწრფელი და მშვიდობიანი კაცი იყო ისა. ამისთანა კაცის დაკარგვა, უეჭველია, ძლიერ სამწუხაროა და საგრძნობელი როგორც იმის ნათესავებისათვის, აგრეთვე მეგობრებისათვისაც. გულ-კეთილობა და პატიოსნება, რასაკვირველია, მეტად საქები თვისებანი არიან ყოველი კაცისა, მაგრამ თ. ა. ორბელიანს ჰქონდა კიდევ სხვა მაღალი ღირსება და აქ—იმის საფლავზე—ამ ღირსებაზე ორიოდე სიტყვის თქმა, მგონი, უადგილო არ იქნება.

„ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის, რომ კაცს აამაღლებს, ჰხდის ნამდვილ კაცად და საქებელ მამულის შვილად არა მხოლოდ იმისი კარგი ოჯახის შვილობა და პატიოსნებით წინ წასვლა ცხოვრებაში; უმაღლესი, ღვთიური დანიშნულება ყოველი კაცისა ის კი არ არის, რომ მარტო თავის თავისთვის და ნათესავებისთვის ზრუნავდეს.—კაცური კაცი ყოველთვის თავის საზოგადოების და ქვეყნის სასარგებლო საქმეებისთვის უფრო მომეტებულს ჰფიქრობს, ვიდრე თავისათვის; თითქმის მთელს თავის სიცოცხლეს ის შესწირავს რომელსამე კეთილშობილურს წადილსა; ყოველ ღონისძიებას ხმარობს ის, რომ მოუტანოს, შეძლებისა დაგვარად, თავის ქვეყანას სარგებლობა, წინ წასწიოს ისა.—აი, უმაღლესი და ყოვლად კეთილშობილური დანიშნულება ღვთის მსგავსად გაჩენილის კაცისა!—ნეტარ არის ის, ვისაც სიკვდილის ჟამს თამამად შეუძლია სთქვას, რომ იმას ტყუილ-უბრალოდ არ გაუტარებია თავის სიცოცხლე, არამედ უშრომია თავის სამშობლოს სიკეთისათვის.—მე ვიტყვი: ნეტარ არის ხსენება ა. ორბელიანისა, რომელმანც თითქმის მთელი თავის სიცოცხლე შესწირა საზოგადოების სამსახურს! ნეტარ არის ისა, რომ სიკვდილის ჟამს თამამად შეეძლო ეთქვა: „მე ვკვდები წმინდა სინიდისით! იმედი მაქვს, რომ ჩემი სიცოცხლე უნაყოფოდ არ ჩაივლის!“

უკანასკნელი სიტყვები უფ. მესხისა იყო:

„ალ. ორბელიანი განგვშორდა, მაგრამ იმის სული, იმის კეთილი საქმეები და მაგალითი ჩვენთან რჩებიან და დიდხანს იცოცხლებენ! კაცური კაცების ერთი თვისებათაგანი ის არის, რომ ისინი არასოდეს არა კვდებიან“!

*

## სხვა და სხვა ამბები.

ტელეგრაფის მოგონებამდი ზოგიერთს ქვეყნებში მტრედები ასრულებდნენ იმის დანიშნულებას; იმათ მიაჩვევდნენ ხოლმე ერთი ქალაქიდამ მეორეში ფრენას და როცა რამ ამბავის გაგზავნა ან შეტყობა დასჭირდებოდათ, მოაბამდენ ყელზე ბარათს თავის ადრესით და გაუშვებდენ იმ ქალაქისკენ; აქ მოხსნიდნენ წიგნს, წაიკითხავდნენ და პასუხს გამოატანდნენ. ტელეგრაფის მოგონების შემდეგ, ამ მტრედების ფოშტას ახლა, რასაკვირველია, მაგდენი მნიშვნელობა აღარა აქვს. ამ მოკლე დროში ერთს ანგლიის სოფელში გამართული იყო დოღი და რადგან ამ სოფლიდან ქალაქამდი ტელეგრაფი არ იყო გაწყობილი, მიჰმართეს ისევ მტრედის ფოშტას. როგორც იწერებიან, დოღის დღეს 50 მტრედი დაფრინავდა ყოველ საათში სოფლიდან ქალაქამდი და გასაოცარი სიჩქარით და სიბეჯითით ატყობინებდნენ ქალაქში დოღის ამბებსა.

---

ბევრი დაკვირვების შემდეგ ბოლოს დარწმუნდნენ, რომ ჯინჭველა სასარგებლო ცხოველია მცენარებისთვის; ისინი დაიარებიან იმისთანა ხეებზე და ფოთლებზე, საცა იმედი აქვთ ბუზანკლების კვერცხების მონახვისა; აი ამ კვერცხებს, რომელნიც მავნებელნი არიან მცენარებისთვის, სჭამენ ჯინჭველანი და ამითაც მოაქვთ მეურნეობაში დიდი სარგებლობა. ეს გარემოება მიიღო ყურადღებაში პრუსიის მმართებლობამ და გამოსცა განკარგულება, რომლის ძალით აკრძალულია სახელმწიფო ტყეებში ჯიანჭველების დახოცვა.—

---

იტალიაში გახსნეს ამას წინეთ ერთი უმაღლესი სასწავლებელი მეურნეობისა; ახლა ამბობენ, რომ ისპანიაშიაც აპირობენო ამისთანა სასწავლებლის გახსნას, რომლისათვისაც ერთი ძველი მონასტერი უნდა გადააკეთონ. ხარჯი, რაც დასჭირდება, თვითონ მცხოვრებლებს მიუღიათ თავის თავზე. თეორეტიკულ სწავლას გარდა ახალგაზდა ყმაწვილი კაცები თვით საქმეზედაც, მიწის მუშაობითაც გაიცნობენ და შეისწავლიან აქ მეურნეობის და ოჯახობის რიგიანად წაყვანას.—

## სიმღერა ბედნიერისა

ჩემი თავი უბრალო არ გეგონოთ—
გარს ავლია სწორეთ რკინის კედლები:
ვერ შეარყევთ, თუნდ ბევრიც რომ ეცადოთ.
დეე მლანძღონ!... რას მიჭარვენ, ბრიყვები?!...

ჩემი ხელი ნიჩაბი არ გეგონოთ,
რომ ვერ არჩევს თავისას და სხვისასა:
ვერ შეაცდენთ, თუნდ ბევრიც რომ ეცადოთ,
ბროში ჩასდოს უცხოს ჯიბის ქისასა.

სხვაზედ ფიქრით თავი არ გამისკდება
და გაცემით, ხელი არ დამიშვრება:
ჩემი გული წმიდა კლდისა სალია,
ცრემლების წინ მუდამ შეუბრალია!

კაცს, თუ უნდა რომ იყვეს ბედნიერი,
ის არ უნდა იყვეს გულლმობიერი.
ღმერთმა მომცა სარჩოს პოვნის ლაზათი,
რათ დავკარგო ჯიბის საზრდოს ადათი!

ოსტატობით ბედნიერი შევიქენ,
სიყალბეში ძალიან გამოვიქენ;
სიმართლისთვის რომ მე ყური დამეგდო,
უნდა თავი სამარეში ჩამეგდო.

შენც ისწავლე, სადაც ჯუჯუტანაა,
იცან კაცი, ვინც რომ პაწაწინაა,
შეჰყავ ხელი, სადაც შეიყოფოდეს,
გამოიღე, რაც გამოილებოდეს!

მაშინ შენცა გახდები ბედნიერი,
თუ არა და ამოწყდები მშიერი;
დაისწავლე ბედნიერის სიტყვები!
დეე მლანძლონ!... რას მიქარვენ, ბრიყვები?!

უნდა გქონდეს გული კლდისა სალია,
ცრემლების წინ მუდამ შეუბრალია!

ზურაბ მოენიძე.

## სავაჭრო ცნობები.

კავკასიის სამხედრო განყოფილების საინჟინერო მმართველობა გამოიწვევს მსურველებს, რათა იკისრონ მე 16 ლინიის ბატალიონისთვის ოთხი კაზარმის ფოდრიადით აშენება თემირ-ხან-შურაში. ფოდრიადის ფასათ, 5% — სა და მოულოდნელ ხარჯს გარდა, დანიშნულია—41, 277 მან. და 40 კაპ.—

ვაჭრობა იქნება მერმის 10 იანვარს თბილისში საინჟენერო მმართველობაში. ვინც თვითონ ვერ დაესწრება, შეუძლია დაბეჭდილი კონვერტი გამოგზავნოს. დაწვრილებითი პირობაები ამ ფოდრიადისა, აგრეთვე დამტკიცებული ანგარიშები და პლანები მსურველს შეუძლია ნახოს ყოველ დღე საინჟენერო მმართველობაში.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიბლიოგრაფიული განცხადება

გაისყიდება
თბილისში
უ. ალადათოვის წიგნის მაგაზიაში. თეატრის უკან და
უ. ენფიანჯიანცისა, პოლიციის გვერდით.

ფასი 2 შაური

ამ დღეებში გამოვა
„სინოპტიკური კალენდარი“
1870
წლისა
წელიწადი — — — — — — — — მეორე

გაისყიდება
ქუთაისში
უ. პრინცის სტამბაში.

ფასი 2 შაური

---

## 1870 წელს

### სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

## „მნათობი“

გამოვა იმავე პროგრამმით და იმავე სივრცითა და მიმართულებით როგორც ამ 1869 წელში გამოდიოდა.

1870 წლის „მნათობის“ ფასი—მთელი წლისა (თორმეტი წიგნისა) გაგზავნით—ისევ რვა მანეთი იქნება. **ნახევარ წლის ხელის მოწერა არ მიიღება; მარა მთელი წლის ფასი შეიძლება შემოიტანონ ორ ნაწილად—ოთხ-ოთხი მანეთი.**

ამასთანავე ვისაც მომავალი წლის „მნათობის“ დაბარება ჰსურს, რედაქცია სთხოვს ადრევე აცნობოს მას, რადგან ეს საჭიროა რედაქციის თავ-და-რიგისთვის,—და მასთანავე წარმოადგინოს ხვედრი ფული.

**ხელის მოწერა შეიძლება**

თბილისში, „მნათობის“ რედაქციის კანტორაში, რომელიც იმყოფება ძუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, დავით ავალოვის სახლებში. აგრეთვე უ. ნ. ალადათოვის წიგნების მაგაზიაში, თამამშოვის ქარვასლის პირ-და-პირ, და უ. ალექსანდრე პარიკმახერთან, შიოევის სახლებში.

### „მნათობის“ პროგრამმა:

„მნათობი“ შესდგება სამი განყოფილებისგან: 1) სამეცნიეროსაგან, 2) სალიტერატუროსაგან და 3) დამატებისაგან.

1. **სამეცნიერო განყოფილებაში** იქნებიან:

ა) ისტორიული სტატიები.

ბ) ბუნების მეცნიერებიდგან სტატიები, საზოგადო ცხოვრებაში გამოსადეგნი.

2. **სალიტერატურო განყოფილებაში** იქმნებიან:

გ) რომანები, მოთხრობაები, დრამული თხზულებანი, ამბები და თხზულებაები—ადგილობრივი ცხოვრებიდგან აღებულნი ანუ უცხოთ ცხოვრებიდგან გადმოღებულნი.

დ) კრიტიკა და ბიბლიოგრაფიული სტატიები.

ე) სხვა-და-სხვა საგნის შესახები სტატიები.

ვ) ლექსები.

3. **დამატებაში** იქმნებიან:

ზ) სხვა-და-სხვა ენებიდგან ნათარგმნი რომანები, მოთხრობაები და დრამული თხზულებანი.

**ისტორიულ** ნაწილში განსაკუთრებითი ყურადღება მიეპყრობა საზოგადო ისტორიასა და საქართველოს ისტორიას. საზოგადო ისტორიიდგან დავბეჭდავთ უფრო იმ ხალხის და სახელმწიფოების ისტორიას, რომელთაც ევროპიის და მთელი კაცობრიობის ცხოვრებასა და განათლებაზედ გავლენა ჰქონდათ, და აგრეთვე იმ სახელმწიფოებისასაც, რომელნიც რაიმე მხრით ფრიად შესანიშნავნი არიან. ამავე ნაწილში ვილაპარაკებთ იმ ევროპიის ცხოვრების შესანიშნავ ფაქტებზედაც, რომლის ზედმოქმედებით ევროპიის ხალხსა და ამათ აზვრნობას სხვა მიმართულება მიეცა და სხვა გვარ ცხოვრებაში გადავიდა. აქავე ვილაპარაკებთ რუსეთის ისტორიის შესანიშნავ ეპოქებზედაც. რაიცა შეეხება საქართველოს ისტორიას—ჩვენ ვეცდებით წარუდგინოთ მკითხველებს საქართველოს ხალხის სრული ისტორიული ცხოვრება: მის დაარსებიდგან მოყოლებული, ვიდრე აქამომდე. ამასთან განსაკუთრებითი ყურად-ღება მიეპყრობა იმ დროს, ანუ ეპოქას, რომელსაც საქართველოს ხალხზედ, მის გონივრულ და ნივთიერებითს ცხოვრებაზედ გავლენა ჰქონია. ამავე ნაწილში დავბეჭდავთ საქართველოს ისტორიისათვის გამოსადეგ მასალებს.

**ბუნების მეცნიერების** ნაწილში ისეთი სტატიები იქნებიან დაბეჭდილნი, რომელნიც შეიცავენ თავისში კაცის სხეულის აგებულებისა და მისი შინაგანი ცხოვრების აღწერას. ამავე ნაწილში იქმნება ბუნების მოვლინებაების აღწერა, მათი მიზეზები, მნიშვნელობა, ხალხზედ გავლენა, და საზოგადოდ იმ გვარი სტატიები, რომელნიც ჰფხვრიან ხალხში ცრუ და ამაო-მორწმუნოებას. აქავე დავბეჭდავთ გიგიენურ სტატიებს, ანუ იმ გვარ სტატიებს, რომელთაც საგნად ექნებათ კაცის კარგა-მყოფობა და ხანგრძლივი სიცოცხლე; აგრეთვე ყმაწვილების მოვლა და გაფრთხილება.

**რომანებისა, მოთხრობაებისა და დრამული თხზულებაების** ნაწილში განსაკუთრებით ყურად-ღებას მივაპყრობთ ჩვენს ცხოვრებას,—და თუ სხვა ენიდგან გადმოღებული მოთხრობა, ანუ რომანი დავბეჭდეთ—ისეთს დავბეჭდავთ, რომლის ამბავი და მომქმედნი პირნი რაიმე მხრით ჩვენ ცხოვრებაში მოქმედ პირებს მიემსგავსებიან.

**კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის** ნაწილში იქნება ყველა ახლად გამოსული წიგნის გარჩევა და დაფასება; რასაკვირველია, თუ საჭიროება მოითხოვს, ძველად გამოსულ წიგნებსაც არ დავაგდებთ უყურად-ღებოდ; აგრეთვე ვეცდებით, რომ დრო-გამოშვებით გამოცემასაც ყურად-ღება მივაპყრათ.

**სხვა და სხვა საგნის შესახები სტატიების** ნაწილში ისეთს სტატიებს დავბეჭდავთ, რომელთაც საგნად ექნებათ: ჩვენი ცხოვრების აწმყო მდგომარეობა და მიმართულება და მისი გაუმჯობესობისათვის საჭირო მოთხოვნილებანი; უცხო ქვეყნელთ ცხოვრება და ხასიათები; ყმაწვილების აღზრდა; ჩვენი მეურნეობისათვის და სახლოსნობისთვის გამოსადეგნი გამოკვლევანი და გამოძიებანი; ეკონომია (ანუ მომჭირნეობა), მისი საზოგადო მნიშვნელობით; სხვა და სხვა მოკლე ამბები და სხვანი.

**დამატებაში** ვეცდებით გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ყველა შესანიშნავი უცხო ქვეყნელთ ბელლეტრისტიული (ანუ ხელოვნებითი) თხზულებანი, მაგალითად: შექსპირისა, შილლერისა, გიოტესი, სერვანტესისა და სხვათა; აგრეთვე ამ დროების შესანიშნავი და გამოსადეგი რომანიული თხზულებანიცა.

ამ პროგრამმის წარმატებული აღსრულება დამოკიდებულია, რასაკვირველია, საზოგადოების თანაგრძნობაზედაც, რომლის ეჭვი არა გვაქვს ჩვენ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ზოგიერთი პირთ თავისებური წინდაუხედავი სჯა ვერაფერს დააკლებს „მნათობს“ და „მნათობიც“ შეიძლებს თავის საქმის აღსრულებას—საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანას.

„მნათობის“ რედაქტორი ნ. ავალიშვილი.

---

### „სასოფლო გაზეთის“ გამოცემაზე

1870 წელში.

მომავალს 1870 წელს „სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა იმავე პროგრამმით, როგორითაც ამ წელს გამოიცემოდა. ამას გარდა სასოფლო გაზეთში იქნება დაბეჭდილი სურათები საოჯახო ცხოველ-მცენარებისა.

**ხელმოსაწერი ფასი:**

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში ერთი წლისა ოთხი მანეთი; გაუგზავნელათ სამი მანეთი

სასოფლო სასამართლოებისათვის ტფილისის გუბერნიაში გაგზავნით სამი მანეთი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში ოთხი მანეთი. ნახევარი წლისა გაგზავნით ორი მანეთი; გაუგზავნელათ ერთი მანეთი და ათი შაური, ერთი ნომერი ორი შაური.

„სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ შაფათობით.

**ხელი მოიწერება.**

ტფილისში „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით;

**Въ Тифлисъ. Въ Контору Редакціи „Сельск. Газеты“ при Типографіи Меликова. и К.**

რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.

---

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, (ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში) და აგრეთვე ალადათოვის წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება**
**„კაცია ადამიანი“**
თხზ. თ. ი. ჭავჭავაძისა.
ფასი ათი შაური

ქუთაისში
ივან ბუღდანჩის
**პასიკოვის** და დავით **ქალანთაროვის მაღაზიებში** ისყიდება მშვენიერი, არომატიული და სხვა და სხვა ფერი
**ჩაი**
გამოჩენილი ფირმის **კალამკაროვისა.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Декабря, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.